პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალგაზრდა სტალინელი

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატის, პარტიული და კომკავშირის კომიტეტების, პროფკომისა და ადგილკომის ორგანო

Ахалгазрда Сталинели — орган ректората, парткома, профкома, месткома и комитета ЛКСМ Тбилисского государственного университета имени И. В. СТАЛИНА

№ 19 (80) | გამოცემის მესამე წელი. ხუთშაბათი, 20 მაისი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

## მომზადებული შევხვდეთ სასესიო გამოცდებს

სასწავლო წლის II სემესტრი დასასრულს უახლოვდება; კიდევ ათიოდ დღე და დაიწყება საგაზაფხულო სესიები, გამოცდები. ჩვენი სტუდენტობა მთელი წლის მანძილზე შეძენილი ცოდნით შეხვდება ამ გამოცდებს. მათ ახლა სისტემაში მოჰყავთ ეს ცოდნა, საფუძვლიანად იმეორებენ მას, დამხმარე ლიტერატურით აღრმავებენ და ავსებენ პროგრამით გათვალისწინებულ ცალკეულ საკითხებს.

წარმატებით რომ ჩავაბაროთ გამოცდები, ამისათვის საჭიროა სისტემატური მუშაობა მთელი წლის მანძილზე. ისინი კი, რომლებიც გამოცდებისათვის მზადებას მხოლოდ გამოცდების წინა დღეებში იწყებენ, ცხადია, კარგ წარმატებას ვერ მიაღწევენ. მაგრამ ეს გარემოება სრულიადაც არ გამორიცხავს იმ უდიდეს მნიშვნელობას, რაც ენიჭება საგნის გამეორებას და მთლიანი კურსის სისტემაში მოყვანას წინასაგამოცდო პერიოდში. პირიქით, რაოდენ მუყაითადაც არ უნდა ემუშავნა სტუდენტს მთელი წლის მანძილზე, მაინც ვერ შეძლებს გამოცდაზე თავისი ცოდნის მაქსიმალურად გამოვლინებას, თუ კი ახლა, წინასაგამოცდო პერიოდში, საფუძვლიანად არ გაიმეორებს საგანს.

ეს გარემოება კარგად აქვთ შეგნებული ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტებს, რომელთა დიდი უმრავლესობა თავდადებით ეუფლება მეცნიერებას, შეჩვეულია წიგნზე დამოუკიდებელ მუშაობას და მაქსიმალურად იყენებს მის ხელთ-მყოფ ყველა შესაძლებლობას, რათა მაღალ ნიშანზე ჩააბაროს გამოცდა ყველა საგანში.

ეს რომ ასეა, ამას ნათელყოფს ის შედეგებიც, რომლებსაც ჩვენი სტუდენტები წინა სესიებზე აღწევდნენ. საკმაოა აღინიშნოს, რომ ჩვენი უნივერსიტეტის 5164 სტუდენტიდან 3866 სტუდენტი სტიპენდიატია, რაც იმას ნიშნავს, რომ წინა სესიაზე არცერთ მათგანს არ მიუღია ოთხზე დაბალი შეფასება რომელსამე საგანში. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული 5164 სტუდენტიდან 1410 ფრიადოსანია.

ჩვენი უნივერსიტეტის ცალკეულ ფაკულტეტებზე, რომელთა სტუდენტებიც საწარმოო პრაქტიკისათვის ემზადებიან, უკვე დაიწყო გამოცდები და ჩანს, რომ სტუდენტთა დიდი უმრავლესობა ამ გამოცდებზედაც მაღალი და სერიოზული მომზადებით ცხადდება.

ამასთან, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენი სტუდენტების ერთი (თუმცა არც ისე დიდი) ნაწილი ჯერ კიდევ ვერ ამაღლებულა იმ შეგნებამდე, რომ მეცნიერების დაუფლებისათვის საჭიროა მეუპოვარი და სისტემატური მუშაობა. ბევრი მათგანი, რომელსაც წლის მანძილზე სერიოზულად არ უმუშავნია, ახლა საჭირო ლიტერატურის წაკითხვასაც ველარ ასწრებს და უბრალო კონსპექტური ჩანაწერებით კმაყოფილდება. სწორედ ასეთი სიზარმაცის შედეგად წინა სასესიო გამოცდებზე აკადემიური დავალიანება გამოჰყვა უნივერსიტეტის 493 სტუდენტს, მათ შორის ორსა და მეტ საგანში—85 სტუდენტს.

ამიტომ ჩვენმა პროფესორ-მასწავლებლებმა, რომლებიც გამოცდებს იბარებენ, ერთი წუთითაც არ უნდა შეანელონ ყურადღება ასეთი სტუდენტების მიმართ და არ დაუშვან, რომ სტუდენტი დაუმსახურებლად ღებულობდეს მისთვის ასე თუ ისე სასურველ ნიშანს. გადაჭრით გავზარდოთ მომთხოვნელობა გამოცდებზე—ასეთია ახლა ამოცანა. მხოლოდ ამით შევძლებთ, რომ ნამდვილად განსწავლული და სრულფასოვანი კადრები მივაწოდოთ ჩვენს დიად სამშობლოს, ჩვენს სახალხო მეურნეობას.

ამასთან, დასაგმობია ისეთი პრაქტიკა, როდესაც მაღალი მომთხოვნელობის საფარქვეშ ზოგიერთი გამომცდელი არაობიექტურ, დაბალ შეფასებას აძლევს სტუდენტს. საქმისათვის ერთნაირად მავნებელია სტუდენტთა ცოდნის როგორც ლიბერალური, ისე არაობიექტური შეფასების პრაქტიკა. ფაკულტეტის დეკანატებმა და კათედრებმა ამ მიმართულებით სათანადოდ უნდა გაამახვილონ ყურადღება გამოცდების მსვლელობის პერიოდში.

წელს ჩვენი უნივერსიტეტის კურსს ამთავრებს 1043 სტუდენტი, ისინი უკვე განაწილებული არიან სამუშაო ადგილებზე, ბევრ მათგანს მოუხდება მუშაობა ქარხანაში, საწარმოში, სკოლაში და სხვადასხვა დაწესებულებებში. ახლა ეს სტუდენტები სახელმწიფო გამოცდებისათვის ემზადებიან, სისტემაში მოჰყავთ ხუთი წლის მანძილზე უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა. წინა წლების პრაქტიკიდან ვიცით, რომ ერთი წყება კურსდამთავრებულებისა შემდეგი წლებისათვის სდებს ხოლმე სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების საქმეს, მაგრამ შემდეგ, ეჩვევიან რა ამ საქმის გადადებას, წლობით რჩებათ ჩაუბარებელი ეს გამოცდები. ამიტომ საჭიროა, რომ დეკანატებმა, პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა სათანადო მუშაობა გასწიონ მეხუთე კურსელებთან და, თუ ვინმე აღმოჩნდება ასეთი მედლეხვალიე, განუმარტონ მათ, რომ საქმის ასეთი გადადება მხოლოდ სიზარმაცეა, რაც სერიოზულ ზიანს აყენებს როგორც პირადად მას, ისე ჩვენს საზოგადოებრივ ინტერესებს. მივაღწიოთ იმას, რომ ყველა სტუდენტი გავიდეს სახელმწიფო გამოცდაზე, და გავიდეს მაღალი მომზადებით, იმის სრული შეგნებით, რომ იგი კომუნიზმის მომავალი მშენებელია, ახალი თაობის მომავალი აღმზრდელია.

---

1954 წლის 24 მაისს, საღამოს 8 საათზე, უნივერსიტეტის საქტო დარბაზში შედგება სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოსა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების გაერთიანებული სხდომა, მიძღვნილი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის პროფესორ **კორნელი სამსონის-ძე კეკელიძის** დაბადების 75 და სამეცნიერო მოღვაწეობის 50 წლისთავისადმი.

გაერთიანებულ სხდომაზე მოხსენებებით გამოვლენ: 1. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფ. ალ. ბარამიძე — „პროფ. კ. კეკელიძის ცხოვრება და სამეცნიერო მოღვაწეობა"; 2. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფ. ვ. თოფურია—„პროფ. კ. კეკელიძე და ქართული ენის საკითხები"; 3. დოც. კ. გრიგოლია—„პროფ. კ. კეკელიძე და საქართველოს ისტორიის საკითხები" და სხვ.

გარდა ამისა პროფ. კ. კეკელიძეს, მისი დაბადების 75 და სამეცნიერო მოღვაწეობის 50 წლისთავთან დაკავშირებით, მიესალმებიან პროფესორ-მასწავლებლები, ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკები და სტუდენტები.

---

ოთარ შალამბერიძე

## იქ ჩვენი მოძმე ყაზახეთია

გაგვყავთ ტაშები დაღვრილი თქეშად,
ცისკენ გაფრენა მოგსურვებიათ;
მოგსხურებიათ აპრილის ეშხი
და სიყვარული მოგწყურებიათ.

გვჯერა—სიმძლავრე თქვენი მკლავების,
გვჯერა—ისეთი ხიმღერაც სწქოთ—
აღმოსავლეთის ცის ვარსკვლავებიც
საქართველოს ცას შემოაქედოთ.

გახწით, ვის ხჯერა შრომაში დალლა,
აგემეთ ყამირს მხართა მრთელობა;
მზრუნველი თვალით პარტია გნახავთ
და მოგიწონებთ კარგ ქართველობას!..

გახწით, რა მოლევს სიყვარულის მადლს,
გახწით, იხარის სიცოცხლის ფესვმა;
მეც შთაგონებით იქ ჩამოგივალთ,
რომ ფოთოლივით იმრავლოს ლექსმაც.

იქ ჩამოგივალთ, ალალ მკლავებით—
შემოგეგებოთ და ვიხარო ხურად,

რომ თქვენი ოფლის წმინდა ბჭკარები
ყურძნის წვენივით ლექსს ჩაეწუროს,

გულით მიენდეთ უფროს მეგობრებს,
ძმობას ძმობითვე მიესალმებით;
თქვენი გმირობის ამბავს მუყვებოდნენ
საქართველოში თეთრი ალვები.

ყამირს ვაჟკაცურ გადაეხვიეთ
დიდი მომავლის მძლავრ არტახებად;
იქ ჩვენი მოძმე ყაზახეთია
და პურიც ძმურად გაიტეხება!..

ცაც ხარკებავით ჩახაბედია,
გული—სიმღერით ხავსე ჯიქანი;
იქ ჩვენი მოძმე ყაზახეთია,
მზე—კომუნიზმის ერთი ქიშკარი!..

გვჯერა, გმირებო, თუ მოინდომებთ,
მთა გაიბრწყოს თქვენი შეხებით,
პირზე ღიმილით დაგვემშვიდობეთ,
გულზე ორდენით გადაგეხვევით.

---

## რადიომსმენელთა კონფერენცია

15 მაისს უნივერსიტეტის საქტო დარბაზში ჩატარდა რადიომსმენელთა კონფერენცია, რომელსაც მრავალი მეცნიერ-მუშაკი, ასპირანტი და მუშა-მოსამსახურე დაესწრო.

კონფერენციის შესავალი სიტყვით გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა, პროფ. ე. ბურჭულაძემ. შესავალი სიტყვის შემდეგ რადიოგადაცემათა შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს რადიოინფორმაციის მთავარი სამმართველოს უფროსმა ამხ. ა. კელენჯერიძემ. თავის სიტყვაში ამხ. ა. კელენჯერიძემ მოკლედ მოუთხრო მსმენელებს რადიოგადაცემათა რედაქციის მუშაობის შესახებ, აღნიშნა, თუ რა როლი ეკისრება ამ ფრიად მნიშვნელოვან დაწესებულებას. ამ უკანასკნელ ხანებში რადიოინფორმაციის სამმართველომ შემოიღო კრიტიკული მასალების გადაცემა, რამაც, როგორც უკვე ნათელი გახდა, კარგი ნაყოფი გამოიღო. რადიოინფორმაციის სამმართველოს განზრახული აქვს შემდგომშიაც განაგრძოს ასეთი გადაცემების მოწყობა.

ამხ. ა. კელენჯერიძის შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ—ჩვენი უნივერსიტეტის პრორექტორი პროფ. ს. ცღენტი, სტუდენტი ი. ჩხეიძე, დოც. შ. ბებიაშვილი, ასპირანტი ნ. კიკვაძე, ლაბორანტი ალ. გვახარია, სტუდენტები—კ. ოვანოვი და რ. ინანიშვილი. მათ აღნიშნეს თბილისის რადიოს მუშაობის როგორც დადებითი, ისე ნაკლოვანი მხარეები, განსაკუთრებული ყურადღება კი სწორედ ამ უკანასკნელ მხარეს მიაქციეს, რადგანაც კონფერენციის ორგანიზატორთა მიზანი იყო დახმარებოდნენ რადიოინფორმაციის სამმართველოს რადიოგადაცემათა ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში.

სიტყვით გამოსულთა აზრით რადიოგადაცემებში უფრო ვრცლად უნდა იყოს გაშუქებული საერთაშორისო ვითარება, სტუდენტებისა და კომკავშირლების ცხოვრება; კარგი იქნებოდა, მოწყობილიყო რეპორტაჟები უშუალოდ ადგილებიდან, როგორც ამას მოსკოვის რადიო აწყობს. რადიო უნდა აწარმოებდეს რადიოტექნიკური ცოდნის პროპაგანდას. გადაცემების ენა უფრო დახვეწილი უნდა იყოს, გამოყენებული უნდა იქნეს ეპიკური ზემოქმედების მთელი ის შესაძლებლობანი, რომლებსაც ზეპირი მეტყველება იძლევა. მიკროფონთან უფრო ხშირად უნდა გამოვიდნენ გამოცდილი მსახიობები, რომლებიც მკაფიო და დახვეწილ ლიტერატურულ ენას ფლობენ; სასურველი იქნებოდა, თუ რადიოინფორმაციის სამმართველო დროდადრო ჩვენი რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების თვითმოქმედ კოლექტივებსაც მიიწვევდა მიკროფონთან. სასურველია აგრეთვე, გაუმჯობესდეს ლიტერატურული და მუსიკალური გადაცემების ხარისხი; მეტი დრო დაეთმოს ახალგაზრდა მწერლებს, ქართული მუსიკალური კულტურის განვითარების სხვადასხვა პერიოდის ნიმუშების გადმოცემას, ჩვენი დიადი სამშობლოს სხვადასხვა ხალხთა მუსიკას. საჭიროა აგრეთვე, გადაცემათა პროგრამები იბეჭდებოდეს ცენტრალურ გაზეთებში.

რადიომსმენელთა კონფერენცია საინტერესოდ ჩატარდა.

---

## განახლდა რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის მრავალტირაჟიანი გაზეთის გამოცემა

მიმდინარე წლის 8 მაისი ღირსშესანიშნავი თარიღია რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის ცხოვრებაში. ამ დღეს გამოვიდა ინსტიტუტის დირექციის, პარტიული ორგანიზაციის, პროფკავშირისა და ალკკ კომიტეტის ორგანოს—მრავალტირაჟიანი გაზეთის—„კადრები ტრანსპორტს" პირველი ნომერი.

მოწინავე წერილში—„ჩვენი გაზეთის ამოცანები" რედაქცია წერს, რომ გაზეთის მიზანია ყოველმხრივ გააშუქოს ინსტიტუტის მრავალფეროვანი ცხოვრება, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სტუდენტთა სწავლების საქმეს, პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობას, მოწინავეთა გამოცდილების გაზიარებას, კრიტიკასა და თვითკრიტიკას, რათა ხელი შეუწყოს ინსტიტუტში მიმდინარე სამეცნიერო და სასწავლო მუშაობის შემდგომ აღმავლობას.

გაზეთში მოთავსებულია ინსტიტუტის მუშაკთა წერილები, რომლებშიაც ავტორები თავიანთ სურვილებს გამოთქვამენ გაზეთის შემდგომი მუშაობის შესახებ.

გაზეთში დაბეჭდილია საინტერესო სტატიები გამარჯვების დღის, ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის წარმოშობისა და განვითარების, სასწავლო სექტორის მუშაობის, საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისა და სხვ. საკითხებზე. აქვეა სტატიები საავიტაციო მუშაობის, კომკავშირული ჯგუფორგების მუშაობისა და სტუდენტთა სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციის შესახებ. ამავე ნომერში მოთავსებულია საინტერესო თეორიული სტატია ლექტორების როლის შესახებ სტუდენტთა დამოუკიდებელ მუშაობაში, აგრეთვე წერილები ქარხნის ახალგაზრდობასთან სტუდენტების შეხვედრის თაობაზე, პარტიისა და მთავრობის მოწოდების პასუხად ყამირ და ნასვენ მიწებზე ქართველი ახალგაზრდობის გამგზავრების, ინსტიტუტის სტუდენტთა სპარტაკიადისა და სხვათა შესახებ.

გაზეთის ნომერი მეტად მრავალფეროვანი და საინტერესოა. წერილები დაბეჭდილია რუსულ და ქართულ ენებზე.

გაზეთი გამოვა კვირაში ერთხელ.



კიევი. ი. ბ. სტალინის სახელობის მოედანი

---

### ვ. ი. ლენინის წიგნის — „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი" 45 წლისთავის აღსანიშნავად

დღეს, 20 მაისს ჩატარდა მარქსიზმ-ლენინიზმის, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის და ფილოსოფიის ისტორიის კათედრების გაერთიანებული სხდომა, მიძღვნილი ვ. ი. ლენინის შრომის „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმის" 45 წლისთავისადმი.

სხდომაზე წაკითხულ იქნა შემდეგი მოხსენებანი: 1. „ვ. ი. ლენინის ბრძოლა მარქსისტული პარტიის თეორიული საფუძვლებისათვის" (მომხსენებელი—ასისტენტი ნ. მებონია); 2. „ვ. ი. ლენინის მიერ მარქსისტული შემეცნების თეორიის შემდეგი განვითარება" (მომხსენებელი—უფრ. მასწავლებელი შ. გაბილაია); 3. „ვ. ი. ლენინი ფილოსოფიური იდეალიზმის გნოსეოლოგიური და კლასობრივი ფესვების შესახებ" (მომხსენებელი—ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი მ. ჰელიძე); 4. „ლოგიკური პოზიტივიზმის რეაქციული ბუნების შესახებ (მომხსენებელი—პროფ. კ. ბაქრაძე).

# ყველია საბჭოთა ხალხის დღე…



კიევი. უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემია

## სამასი წელი გვემაისება

ჩემი ქართლიდან გეხმიანებით,
სიყვარულის და ძმობის ქართლიდან,
თქვენ გიმღერიან ვერხვიანები,
სალამურებად ვერხვიც გათლილა.

გამომიძერწავს ლექსი ალერსით,
ამ სტრიქონებსაც ვჩარხავდი დიდხანს;
ზღვა სიხარული მედგა თვალებში
და გალიმება დავასწარ სისხამს.

ვარდობის თვეა საქართველოში,
მთვარე ზედნიერ ღამეებს ათევს,
მე ვხედავ თქვენშიც ფარჩით შემოსილს
ოქროს ყანებს და ოქროსფერ ვარდებს.

სხვა იყო გუშინ... ცეცხლის დელგმაში
დიად სამშობლოს ვიცავდით ერთად,
დნეპრთან ვიბრძოდით ვეფხვები მაშინ
და ვაჟკაცურად გვიყვარდა შეხლა.

სამასი წელი გვემაისება,
დიდება ძმობის უშრეტ ღადარსა;
ჩვენი დავითი თქვენი სიძეა,
თქვენი ლესია ჩვენ გვყავს პატარძლად!..

**გრიგოლ გვაძაბია**

# მეცნიერების წარმატება უკრაინაში

უკრაინის რუსეთთან შეერთების 300 წლისთავს მთელი ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხი დიდი სიხარულითა და აღფრთოვანებით ეგებება. უკრაინა დღეს ერთ-ერთი მოწინავე რესპუბლიკათაგანია ჩვენს კავშირში. როგორც კულტურის, ისე მეცნიერების სხვადასხვა დარგების განვითარების თვალსაზრისით მას თვალსაჩინო ადგილი უკავია სსრ კავშირში. თუ ოქტომბრის რევოლუციამდე უკრაინაში მხოლოდ 19 უმაღლესი სასწავლებელი იყო, დღეს მარტო უნივერსიტეტების რაოდენობა შვიდია. მთელს ქვეყანაში ცნობილია კიევის, ხარკოვის, ოდესის, ლვოვის და სხვა უნივერსიტეტები, ხოლო, საერთოდ, უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობა უკრაინაში 159-ს აღემატება. პირველი ორი ხუთწლედის განმავლობაში რესპუბლიკამ 109 750 ახალგაზრდა სპეციალისტი მოუმზადა სამშობლოს, 1949—50 სასწავლო წელს კი ამ უმაღლეს სასწავლებლებში (დაუსწრებლების ჩაუთვლელად) 137 160 სტუდენტი სწავლობდა. მას შემდეგ სისტემატურად იზრდება სტუდენტთა რაოდენობა და უკრაინის უმაღლესი სასწავლებლები ყოველწლიურად ათეულ ათასობით უშვებენ ახალგაზრდა კვალიფიციურ სპეციალისტებს.

უკრაინის მეცნიერებათა აკადემია ჩამოყალიბდა რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1919 წლის თებერვალში. იგი ერთ-ერთ მოწინავე აკადემიას წარმოადგენს მთელს კავშირში. დღეისათვის აკადემიას 82 აკადემიის წევრი, 88—წევრ-კორესპონდენტი და 1300 მეცნიერი მუშაკი ჰყავს. 1919 წლისათვის აკადემიას მხოლოდ 3 განყოფილება გააჩნდა, ხოლო პირველი და მეორე ხუთწლედების პერიოდში და აგრეთვე დასავლეთ უკრაინის შემოერთების შემდეგ (1939 წ.) უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობა საგრძნობლად გაიზარდა. შეიქმნა ახალი განყოფილებები მთელი რიგი სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებების სახით. 1949 წლისათვის უკრაინის მეცნიერებათა აკადემია ხუთი განყოფილებისაგან შედგებოდა: საზოგადოებრივ მეცნიერებათა, ბიოლოგიურ მეცნიერებათა, სოფლის მეურნეობისა, ფიზიკურ-მათემატიკური და ქიმიისა, ტექნიკურ მეცნიერებათა. აკადემიის ეს ხუთი განყოფილება 32 სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტისაგან შედგება და დიდი წვლილი შეაქვს საბჭოთა მეცნიერების საგანძურში.

სამამულო ომის წლებში გერმანელმა ფაშისტებმა უმოწყალოდ გაძარცვეს აკადემიის სამეცნიერო ფასეულობანი 150 მილიონი მანეთის ღირებულებისა. ამათ რიცხვში—1 მილიონზე მეტი სამეცნიერო ძვირფასი წიგნი და მთელი რიგი სამუზეუმო უნიკალური ექსპონატები. გერმანელი ფაშისტების დამარცხების შემდეგ კი აკადემიის ბიბლიოთეკას 5 მილიონზე მეტი წიგნი აქვს შეძენილი.

უკრაინის მეცნ. აკადემია სხვადასხვა სახელწოდების 8 პერიოდულ გამოცემას უშვებს ჟურნალების სახით.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამ რუსეთში და, კერძოდ, უკრაინაში ძირფესვიანი გადატრიალება მოახდინა უკრაინის საზოგადოებრივ, პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებაში. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობის შედეგად სულ უფრო და უფრო მაღლდება უკრაინელი ხალხის განათლება და კულტურული დონე. პარტიის XIX ყრილობამ ისტორიული მნიშვნელობის მრავალი ახალი ღონისძიება დასახა კომუნიზმის მშენებლობის საქმეში, რომლის შესრულებისთვისაც თავგამოდებით იბრძვის მთელი უკრაინელი ხალხი, და უკრაინელი მეცნიერებიც.

**გ. ბაქრაძე**

# დიდი თარიღ…

## სამეცნიერო სესია

13 და 14 მაისს ჩვენი უნივერსიტეტის საქტო დარბაზში მიმდინარეობდა ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გაერთიანებული სამეცნიერო სესია, მიძღვნილი უკრაინის რუსეთთან შეერთების 300 წლისთავისადმი.

სამეცნიერო სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო კიევიდან ჩამოსულმა დელეგაციამ—უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის გ. სავინისა და ამავე აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის კ. ბელოდედის შემადგენლობით.

სესია გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკად. ნ. მუსხელიშვილმა. მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი პროფ. გ. სავინი.

სესიამ მოისმინა მოხსენებები: 13 მაისს: „უკრაინის რუს[ეთთან] შეერთება და მისი ისტორიული [მნიშ]ვნელობა"—დოც. ა. სურგულ[აძე]; 2. „უკრაინის რუსეთთან შეერ[თების] 300 წლისთავი"—ისტორიულ მეც[ნიე]რებათა კანდიდატი ლ. გამრ[…] (მოსკოვი); 3. „უკრაინელი ხალხის ღწვევბი კომუნიზმის მშენებლ[ობის] საქმეში"—პროფ. გ. ხაჭაპურ[იძე]. [14] მაისს: 1. „უკრაინელი და ქარ[თველი] ხალხების მეგობრობის ისტორ[იული] ფესვები"—პროფ. ი. ცინცაძე; 2. [„საბჭ]ოთა საქართველოსა და საბჭოთ[ა უკ]რაინის ხალხთა მეგობრობა და [კულტ]ურნეო კავშირი"—დოც. ი. მ[…]; 3. „ქართველი და უკრაინელი ხ[ალხე]ბის კულტურული ურთიერთობ[ის ის]ტორიიდან"—პროფ. ა. ბარამ[იძე]; „ნ. წერეთელი—უკრაინული ხ[ალხური] შემოქმედების ძეგლების შემ[კრები და] გამომცემელი"—ო. გვინჩიძე.



კიევი. ვ. ი. ლენინის ძეგლი

## საქართველოს სსრ დ[ელეგაცია] შეერთების 300 წლის[თავზე] სსრ უმაღლესი ს[აბჭოს სესიაზე]

საქართველოს სსრ მთავ[რობ]ის ცენტრალურმა კომიტეტმა [პრე]ზიდიუმის, მინისტრთა საბჭო[ს …] რალური კომიტეტის მიწვევა[…] რათა მონაწილეობა მიიღოს რ[…] ვისადმი მიძღვნილ უკრაინის ს[…] მუშაობაში.

უკრაინის სსრ უმაღლესი [საბჭოს სესიის მონა]წილეობის მისაღებად კიევს გ[აემგზავრნენ] ამხანაგები მ. დ. ჩუბინიძე—[…] დიუმის თავმჯდომარე (დელე[გაციის …]) აკადემიკოსი, ე. ა. სეხნიაშვილ[ი …] თბილისის საქალაქო კომიტეტ[…] რის სახალხო არტისტი, მ. ფ[…] შრომის ორჯონიკიძის სახელ[…] ჩიქოვანი—პოეტი, შ. მ. კუხ[…] კასიის მეტალურგიული ქარხ[…] ტოპონის ქარხნის ინჟინერ-ტ[…]

18 მაის[…] ტო დარბა[…] ნის სსრ […] გადოებრ[…] ბის თავჯ[…] ლებელმა […] ლექციის […] თან შეე[…] სალიტერა[…] ლექცია […] მრავალრი[…] დაიმსახურ[…]

# ბოგდან ხმელნიცკი

## (1595—1657)

უკრაინელი ხალხის დიდი შვილი ბოგდან (ზინობი) ხმელნიცკი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა XVII საუკუნის პირველ მეოთხედში, ე. ი. იმ პერიოდში, როდესაც უკრაინელი გლეხობა და კაზაკობა თურქ-თათართა თავდასხმების მოგერიებასთან ერთად გააფთრებით იბრძოდა პოლონელი შლიახტის მხრივ სოციალურ-ეკონომიური და ეროვნული ჩაგვრის, აგრეთვე გაძლიერებული ფეოდალური ექსპლოატაციის წინააღმდეგ. ბოგდან ხმელნიცკი ახალგაზრდობის წლებიდანვე ჩაება მტრებთან ბრძოლებში და თავისი სიცოცხლის დასასრულამდე (გარდ. 1657 წ.) ერთგულად ემსახურებოდა უკრაინელ ხალხს.

ბოგდან ხმელნიცკის, როგორც გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის, დიპლომატისა და მხედართმთავრის ბრწყინვალე ნიჭი განსაკუთრებით ნათლად გამოვლინდა დამპყრობელთა წინააღმდეგ უკრაინელი ხალხის განმათავისუფლებელ ომში 1648—1654 წლებში.

ბოგდან ხმელნიცკიმ მთელი თავისი მოქმედება უკრაინელი ხალხის საერთო ეროვნული ინტერესების განხორციელების საქმეს დაუქვემდებარა, ამიტომ შეძლო მან გამხდარიყო თავისი დროის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი და მხედართმთავარი. ხმელნიცკი იყო თავისი ხალხისა და სამშობლოს უდიდესი პატრიოტი. მას უსაზღვროდ უყვარდა მრავალტანჯული უკრაინელი ხალხი, რომელიც დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლაში არავითარი მსხვერპლის წინაშე უკან არ იხევდა. უკრაინელი ხალხის ხსნას ბოგდან ხმელნიცკი რუსი და უკრაინელი ხალხების ისტორიულად ჩამოყალიბებული კავშირისა და მეგობრობის შემდგომ განმტკიცებაში ხედავდა, ამიტომ რუსეთთან უკრაინის გაერთიანებისათვის იგი განუხრელად იბრძოდა განმათავისუფლებელი ომის მთელ მანძილზე.

ბოგდან ხმელნიცკი ხელმძღვანელობდა რა უკრაინელი ხალხის განმათავისუფლებელ ომს პოლონელი შლიახტის დამპყრობელი პოლიტიკის წინააღმდეგ, მიზნად ისახავდა გაეთავისუფლებია უკრაინა შლიახტური პოლონეთის უღლისაგან და შეექმნა ეროვნული უკრაინული სახელმწიფო. ბოგდან ხმელნიცკის, როგორც გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის ნიჭი განსაკუთრებით ზბოროვის ზავის (1649 წ.) დადების შემდეგ გამოვლინდა, როდესაც უკრაინაში შეიქმნა ნახევრად დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული კიევის, ჩერნიგოვისა და ბრატისლავის სავოევოდოების შემადგენლობით. ხმელნიცკი ენერგიულად შეუდგა ამ ახალ უკრაინულ სახელმწიფოში მტკიცე სამხედრო-ადმინისტრაციულ და სამოქალაქო ხელისუფლების ორგანიზებას.

ბოგდან ხმელნიცკის შესანიშნავი დიპლომატიური ნიჭი ნათლად გამოჩნდა განმათავისუფლებელი ომის პერიოდში თურქეთთან, პოლონეთთან ან სხვა რომელიმე სახელმწიფოსთან ურთიერთობის დროს. თავისი დიპლომატიური ნიჭის წყალობით ხმელნიცკი თითქმის ყოველთვის ახერხებდა მტრების რიგების გათიშვას, მოწინააღმდეგეთა შორის განხეთქილების ჩამოგდებას, კრიტიკულ მომენტში უკრაინელი ხალხისათვის სათანადო სამხედრო მოკავშირის პოვნას. ყველაფერი ეს უკრაინელ ხალხს საშუალებას აძლევდა მტრების წინააღმდეგ ომი ეფექტურად ეწარმოებია.

უკრაინელი ხალხის განმათავისუფლებელი ომის მთელ პერიოდში ბრწყინვალედ გამოვლინდა ბოგდან ხმელნიცკის მხედართმთავრული ნიჭი. მრავალრიცხოვან მტრებზე მოპოვებულმა დიდმა გამარჯვებებმა ბოგდან ხმელნიცკის მოუპოვეს შორსმჭვრეტელი სტრატეგისა და უნარიანი ტაქტიკოსის სახელი.

ბოგდან ხმელნიცკის წინამძღოლობით უკრაინელი ხალხის მიერ ჩატარებული საომარი ოპერაციები გამოირჩეოდა თავისი საარაკო გაბედულებით, შესანიშნავი მანევრებითა და მოულოდნელობით. ხმელნიცკი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა საომარი მოქმედების დროს ზურგის სიმტკიცეს, დასაყრდენი პუნქტების გაძლიერებას, საბრძოლო რეზერვებით ჯარების უზრუნველყოფას და პარტიზანული მოძრაობის ფართოდ გაშლას. უკრაინელი ხალხის პარტიზანული რაზმების ხელმძღვანელები—სახალხო გმირები ბოგუნი, ნეჩაი, კრივონოსი, ვოვგურა, გაიგურა და სხვები ბოგდან ხმელნიცკის ერთგული თანამებრძოლები იყვნენ.

დამპყრობელთა წინააღმდეგ უკრაინელი ხალხის განმათავისუფლებელი ომი, რომელსაც ბოგდან ხმელნიცკი მეთაურობდა, ბრწყინვალედ დაგვირგვინდა. ასრულდა უკრაინელი ხალხის საუკუნოვანი ოცნება. 1654 წელს 8 (18) იანვარს პერეიასლავის რადის გადაწყვეტილებით უკრაინა მოძმე რუსეთთან გაერთიანდა.

პერეიასლავის რადის დადგენილება უკრაინელი ხალხის ისტორიაში შემობრუნების ეტაპი იყო. „შეერთების აქტით უკრაინელმა ხალხმა დაამკვიდრა ისტორიულად ჩამოყალიბებული მტკიცე და განუყრელი კავშირი რუს ხალხთან, რომლის სახითაც მან შეიძინა დიდი მოკავშირე, ერთგული მეგობარი და დამცველი თავისი სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლაში" (თეზისები რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის შესახებ).

ჩვენს დიდ წინაპართა შორის გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწესა და მხედართმთავარს ბოგდან ხმელნიცკის ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. უკრაინელ და რუს ხალხებთან ერთად საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი უდიდესი სიამაყით ინახავს ბოგდან ხმელნიცკის სახელს. საბჭოთა მთავრობის დადგენილებით ბოგდან ხმელნიცკის სახელს ატარებს უკრაინის სსრ ერთ-ერთი ქალაქი, ჩვენი ქვეყნის მრავალი ქუჩა, სკოლა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება. ხოლო ბოგდან ხმელნიცკის ორდენი, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 10 ოქტომბრის ბრძანებულებით იქნა დაწესებული, მრავალი საბჭოთა მოქალაქის მკერდს ამშვენებს. ბოგდან ხმელნიცკის სახელის უკვდავყოფის ყველაზე შესანიშნავი ძეგლია რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის საყოველთაო სახალხო დღესასწაულად გამოცხადება.

**დოც. ზ. შველიძე.**



# ეროვნული დღესასწაული

## აღსანიშნავად

### მიძღვნილი კონცერტი

18 მაისს უნივერსიტეტის საქტო დარბაზი საზეიმოდ იყო მორთული და გაჩირაღდნებული. ცენტრალურ ადგილზე მოთავსებული იყო ჩვენი პარტიის ბელადების დიდი პორტრეტები და დიდი სტალინის პორტრეტი. დარბაზი მორთული იყო ლოზუნგებით კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერებაზე, ხალხთა ურღვევ მეგობრობაზე.

დარბაზი სავსეა მოწვეული ამხანაგებით—უნივერსიტეტის ხელმძღვანელ მუშაკებით, პროფესორ-მასწავლებლებით და სტუდენტებით; წინა რიგებში სხედან რესპუბლიკისა და დედაქალაქის ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები, სამეცნიერო დაწესებულებათა და კულტურული ორგანიზაციების წარმომადგენლები, აქ არიან სტუმრები მოსკოვიდან, უკრაინიდან.

აქ დღეს ტარდება უნივერსიტეტის სტუდენტთა თვითშემოქმედებითი კოლექტივების დიდი საღამო-კონცერტი, მიძღვნილი უკრაინის რუსეთთან შეერთების სამასი წლისთავისადმი.

აი, გაიხსნა ფარდა და უნივერსიტეტის სტუდენტთა სიმფონიურმა ორკესტრმა წარმატებით შეასრულა ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისის" უვერტიურა, შემდეგ მას მოჰყვა საბჭოთა კავშირის მოძმე რესპუბლიკების გამოჩენილ კომპოზიტორთა და ევროპის მუსიკოსების საუკეთესო ნაწარმოებთა შესრულება. მაყურებლები ხანგრძლივი ტაშით აჯილდოებდნენ შემსრულებლებს, რომლებიც ამ დღეს განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ.

კონცერტის მეორე განყოფილებაში წარმოდგენილი იყვნენ ინდივიდუალური შემსრულებლები—მოცეკვავეები, მომღერლები, პიანისტები, დეკლამატორები და სხვ.

კონცერტი, რომელიც წარმატებით ჩატარდა, ტრანსლირებული იყო რადიოთი.

## შევჩენკოს მხარევ!

შევჩენკოს მხარევ, სალამი შენდა,
ზეიმს გილოცავ საქართველოდან,
უკრაინაზე ვიმღერი მინდა,
გურამიშვილი როგორც მღეროდა.

მინდა ვადიდო რუსეთი დიდი,
ვით საქართველო, მან გიხსნა შენაც,
მან გაგვიხადა ცხოვრება მშვიდი,
გადაგვირჩინა მშობელი ენა...

წელი სამასი უკან დატოვე,
წინა გვაქვს ძმობის უთვალავ წლები,
ვით წინაპრები ქვეყნად ნატრობდნენ,
მარადჟამს მკვიდრი ვიქნებით ძმები.

ნიაღვრით მტკიცე იშლება კლდენი, —
ჩვენს ძმობას ქვეყნად ვერავინ მოშლის,
რადგან წინ გვიძღვის პარტია ბრძენი
ლენინ-სტალინის ბრწყინვალე დროშით.

**გურამ გიორგაძე**



კიევი. ტ. გ. შევჩენკოს სახელობის კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## ...ა რუსეთთან უკრაინის ...ემი მიძღვნილ უკრაინის ...იუბილეო სესიაზე

...ქართველოს კომუნისტური პარტი-
...რაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრე-
...ნის კომუნისტური პარტიის ცენტ-
... საქართველოს სსრ დელეგაცია,
...უკრაინის შეერთების 300 წლისთა-
...ესი საბჭოს საიუბილეო სესიის-

...უბილეო სესიის მუშაობაში მონა-
...დელეგაცია, რომელშიც შედიან:
...ს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზი-
...მძღვანელი), ი. ს. ბერიტაშვილი—
...ველოს კომუნისტური პარტიის
... ა. ვ. ამირანაშვილი—სსრ კავში-
...მ—მახარაძის რაიონის სოფელ
...მეურნეობის თავმჯდომარე, ს. ი.
...სტალინის სახელობის ამიერკავ-
...დე, რ. დ. კახაძე—ქუთაისის ლი-
...საქდესი).



კიევი. ტ. გ. შევჩენკოს ძეგლი

...მდეშის
...ი

...ერსიტეტის საქ-
... წაიკითხა უკრაი-
...კადემიის საზო-
... განყოფილე-
...ლეობის ამსრუ-
...ელოდემა. მისი
...კრაინის რუსეთ-
... უკრაინელი
...მეგობრობაზე".
...ერესი იყო და
... მოწონება

## ტარას შევჩენკო—მხატვარი

მაღალი შუბლი, იდნავ დაფარული ბეწვის ქუდით, დაფიქრებული სახე, მხოლოდ თვალებში მიმალული ღიმილის ნაპერწკლები; ხშირი ულვაში, ბეწვის საყელოიანი ქურქი, ასეთს ვიცნობთ „კობზარის" ავტორსა და დიდ მოქალაქეს ტარას შევჩენკოს, მაგრამ ალბათ ბევრმა არ იცის, რომ ეს სურათი (ოფორტი) ავტოპორტრეტია, 1860 წელს შესრულებული.

უკრაინელი ხალხის დიდი მომღერალი ისევე თავისუფლად და სრულყოფილად ფლობდა ფუნჯსა და ფანქარს, როგორც კალამს. იგი სამართლიანად ითვლება უკრაინული ფერწერისა და გრაფიკის კლასიკოსად.

ჯერ კიდევ ადრინდელ ავტოპორტრეტში (1840 წ.) იგრძნობა პოეტისა და მხატვრის დიდი უშუალობა, ფერთა გამის ჰარმონიულობა, ადამიანის ინტელექტის გადმოცემისაკენ მისწრაფება. პორტრეტული ფერწერის ბრწყინვალე ნიმუშად ითვლება ე. ვ. კეიკუატოვას პორტრეტიც, რომელიც ბრიულოვის სკოლის საუკეთესო ტრადიციებზე დაყრდნობით არის შესრულებული.

ტილოების უდიდესი ნაწილი შევჩენკომ ხალხის ყოფისა და მდგომარეობის აღწერას უძღვნა. იგი ფერწერაშიც, ისევე როგორც ლიტერატურულ შედევრებში, უკრაინელი ხალხის დიდ მომღერლად გვევლინება; მისი სურათები ღრმა სოციალური შინაარსის მატარებელია.

ხალხის ცხოვრებისადმი მიძღვნილ ტილოებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ავტოილუსტრაცია „კატერინა" (1842 წ.), რომელიც ამავე სათაურის პოემისათვის არის შექმნილი. თვით შევჩენკო ასე გადმოგვცემს ამ სურათის შინაარსს: „სურათი ასახავს კატერინას იმ დროს, როდესაც იგი თავის მოსკალელთან გამოთხოვების შემდეგ სოფელში ბრუნდება. მოხუცი ზის ფარდულთან, თლის კოვზს და შესცქერის კატერინას, იგი კი, საცოდავი, ცრემლს ძლივს იკავებს"... დაჩაგრული ქალის ტრაგედია გადმოცემულია უკვდავი სენტიმენტალობისა და ყალბი პათოსის გარეშე, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ფერწერულ და შინაარსობლივ ეფექტს. სწორედ ეს ბუნებრიობა და უშუალობა აყენებს ამ ტილოს XIX საუკუნის ფერწერული შედევრების გვერდით. ასევე ბუნებრივად ჩანს სურათი „გლეხის ოჯახი", რომელშიც განსაკუთრებით ძლიერად იგრძნობა მხატვრის სიყვარული ხალხისადმი.

შევჩენკო ხელოვნების ძირითად ამოცანას მის მშვენიერებაში, საზოგადოებისათვის სასარგებლო ხედავს.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე შესრულებული სურათების სერია „შპიცრუტენებით დასჯა", „ციხეში", „დარაჯათ დასჯა" და სხვ. ეს სურათებიც დიდი სოციალური შინაარსის მატარებელია—შევჩენკო სასტიკად ამათრახებს მეფის რეჟიმის მთელს სისაძაგლესა და სიდამპლეს.

1858 წელს დიდი სიყვარულით არის შესრულებული რუსული თეატრის კორიფეის შჩეპკინის სურათი, იგი გამოირჩევა დიდი პორტრეტული მსგავსებითა და შესრულების მაღალი ტექნიკით.

მცირე წერილში შეუძლებელია შევჩენკოს, როგორც მხატვრის სრული დახასიათება. ერთი რამ კი ცხადია და უეჭველი: დიდი პოეტი დიდი მხატვარიც იყო. მის ტილოებს, ისევე როგორც ლიტერატურულ ნაწარმოებებს, უდიდესი ხალხისადმი სიყვარული უძევს: ალბათ ამიტომ თქვა დიდმა აკაკიმ: მან მასწავლა მე, თუ როგორ უნდა ხალხის სიყვარული.

**თენგიზ ფერაძე**

## რუსი და უკრაინელი ხალხის საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან

როდესაც მოსკოვის დიდმა მთავარმა დიმიტრიმ, დონელად წოდებულმა, დაიწყო სახალხო ლაშქრის შეგროვება, რათა იარაღით გადაეგდო მონღოლთა უღელი—მოსკოვისაკენ დაიძრნენ მოხალისენი რუსეთის ყველა კუთხიდან, იქიდანაც კი, სადაც არ შეჭრილიყო თათარ-მონღოლთა ბატონობა. თათართა ახალი გამანადგურებელი შემოსევის საფრთხემ ერთ ძალად შეაკავშირა დიმიტრის მრავალეროვანი ლაშქარი. სხვებთან ერთად, დიმიტრისთან მოვიდა ვოლინელი მთავარი დიმიტრი ბობროკი, „შესანიშნავი ვოევოდა და სარდალი", მემატიანეს თქმით.

1380 წლის 8 სექტემბერს რუსეთის ძლევამოსილმა მეომრებმა დიმიტრი დონელის უნარიანი სარდლობის მეოხებით ბრწყინვალე გამარჯვება მოუტანეს სამშობლოს. თათართა დამარცხებაში დიდი როლი შეასრულა ვოლინელმა მთავარმა დიმიტრი ბობროკმა. საფარში მყოფი ბობროკი ძლივს აკავებდა რუს მხედრებს, რომლებიც ხედავდნენ თავის თანამომხრეთა ფიცხელ ბრძოლას.

როგორც მემატიანე გადმოგვცემს, ბოლოს, როცა დაქროლა სამხრეთის ქარმა, ვოლინელმა ბრძოლისაკენ მოუწოდა თავის მეომრებს.

ბრძოლის ველზე ახალი პოლკების გამოჩენამ სწრაფად გადასწონა ბრძოლის სასწორი: თათართა ჯარი განადგურებული იქნა, ხოლო სარდალმა მამაიმ გაქცევით უშველა თავს.

კულიკოვის ბრძოლა ჯერ არ წაშლილიყო მონაწილეთა მოგონებიდან, როცა სლავი ხალხები ახალი საფრთხის წინაშე აღდგნენ. ლივონიის ორდენის აგრესიის მსხვერპლი ზედიზედ ხდებოდნენ პოლონეთისა და ლიტვის მიწები. გერმანელ რაინდთა დამპყრობლური, ავაზაკური პოლიტიკა აფერხებდა ამ ორი ხალხის განვითარებას; ამასთანავე, ეს პოლიტიკა საფრთხეს უქმნიდა დასავლეთ რუსულ სამთავროებსაც. ორდენმა ხელში ჩაიგდო ვისლის შესართავი ქ. გდანსკით, ნემანისა და დას. დვინის შესართავები. XIX საუკუნის ბოლოს ჟმუდის დაპყრობით ტევტონთა ორდენი შეუერთდა მის ფილიალს—ლივონიის ორდენს, თითქმის დაამთავრა მთელი ბალტიისპირეთის დაპყრობა და შეუდგა სამზადისს პოლონეთისა და ლიტვის დასამორჩილებლად.

1409 წელს დაიწყო განმათავისუფლებელი ომი, მიმართული ორდენის აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ. 1410 წლის 15 ივლისს გრიუნვალდთან პოლონელთა, ლიტველთა, ჩეხთა, რუსთა, უკრაინელთა და ბელორუსთა შეერთებული ლაშქარი შეხვდა ორდენის კბილებამდე შეიარაღებულ და დაჯავშნულ რაინდებს. პოლონური რაზმების 51 დროშიდან შვიდი—უკრაინელთა რაზმებს ეკუთვნოდა, სამი—პოდოლიის და თითო—ლვოვის, პერემიშლის, გალიჩისა და ხოლმის რაზმებს. ლიტველთა ლაშქრის 40 დროშიდან 36—რუსული, უკრაინული და ბელორუსული რაზმების თავზე ფრიალებდა.

ბრძოლის ბედი, როგორც აღნიშნავს პოლონელი მემატიანე დლუგოში, გადაწყვიტეს რუსულმა პოლკებმა, რომელთაც გადაიტანეს ბრძოლის მთავარი სიმძიმე. მოკავშირეთა გმირულმა ბრძოლამ არა მარტო შეაჩერა გერმანელ რაინდთა შეტევა აღმოსავლეთით, არამედ სასიკვდილო დარტყმა მიაყენა მათ.

• • •

1708 წელს კარლოს XII, განიცადა რა მარცხი რუსეთის არმიის განადგურებისა და მოსკოვის დაპყრობის ცდისას, შვედეთის ჯარით შეიჭრა უკრაინაში. კარლოსი მიზნად ისახავდა, ერთის მხრივ, დაეპყრობინა უკრაინის მდიდარი მიწები და შეევსო არმიის დაცარიელებული ალაგი, ხოლო მეორე მხრივ მას იმედი ჰქონდა უკრაინელი ხალხის აჯანყებისა რუსეთის წინააღმდეგ. ამ უკანასკნელ მოსაზრებას უკრაინის მოღალატე ჰეტმანის მაზეპას მოღალატური საქციელიც უწყობდა ხელს.

უკრაინის ერთ-ერთი მდიდარი ფეოდალთაგანი, „მოლაშქრე" ივანე სტეფანეს-ძე მაზეპა ხშირად ცვლიდა ბატონებს—ხან პოლონეთის მეფეს ემსახურებოდა, ხან თურქეთის სულთანს, ხან კი რუსეთის მეფის „ერთგული" ქვეშევრდომი ხდებოდა. მაზეპა მიისწრაფოდა „დიდი უკრაინის სამთავროს" შექმნისაკენ, უნდოდა თვითონ გამხდარიყო მონარქი. მაზეპა დაუკავშირდა კარლოსის მარიონეტს სტანისლავ ლეშჩინსკის (რომელიც კარლოსმა პოლონეთის მეფედ დასვა). 1708 წლის 21 სექტემბერს კარლოს XII არმიამ გადალახა უკრაინის საზღვრები. უკრაინელი ხალხი, რომლის მზადყოფნის იმედიც ჰქონდათ შვედებს, ერთსულოვნად აღდგა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ. დაიწყო სახალხო ომი, რომელიც დღითიდღე ძლიერდებოდა.

უკრაინაში შეჭრისთანავე კარლოს XII შეეცადა უკრაინელი ხალხის თანაგრძნობა მოეპოვებინა. აგენტების საშუალებით ის ქალაქებსა და სოფლებში ავრცელებდა ფურცლებს, ცდილობდა მოეხიბლა მოსახლეობა.

მაგრამ შვედი დამპყრობლის ეს ცდები ამაო იყო. ყველგან, სადაც კი ხელი მიუწვდებოდა, კარლოსი ხვდებოდა სიძულვილს, ხვდებოდა შეიარაღებულ წინააღმდეგობას. შვედი გენერალი ადლერფელდი იძულებული იყო აღიარებინა: „მოულოდნელად ჩვენ იძულებული გავხდით განუწყვეტლივ გვებრძოლა იმ მხარის მოსახლეობასთან, სადაც ჩვენ შევედით", ხოლო კარლოსის ბიოგრაფი წერდა: „ყველაზე მეტი ზიანი შვედებისათვის მოაქვს მოსახლეობის ბრძოლას: ისინი ესხმოდნენ შვედ ჯარისკაცებს და მუსრს ავლებდნენ მათ".

მაზეპას გადასვლამ შვედების მხარეზე ვერ გაამართლა კარლოსის იმედები. მაზეპამ მოახერხა მხოლოდ 2000-მდე კაზაკის (ნაცვლად დაპირებული 30 ათასისა) და კაზაკთა ზედაფენის („სტარშინის") საგრძნობი ნაწილის გადაბირება შვედების მხარეზე.

უკრაინის მოსახლეობის, განსაკუთრებით კაზაკების მთავარი მასის პეტრეს დროშის ქვეშ გამოსვლამ განაპირობა რუსეთის არმიის გამარჯვება „უძლეველ შვედებზე", პეტრეს გამარჯვება „შვედ პალადინზე", როგორც უწოდებდნენ კარლოს XII-ს.

**ნ. ნაკაშიძე,**
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

